

კვირი	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

# ივერია

გაზეთის დასაყვედურად და კერძო განცხადებებზე დასაბუქდათ უნდა მივმართოთ: თეოდორე ლეონოვიძის, კუკიაში, ავტალიის ქუჩაზე, ჯანსიყვირის ქუჩის პირდაპირ, თავ. გრუზინისკისულის სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დოქტორის კანცელიარის, საზოგადოებრივი ბანკის სახლში, სახანლოს ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიტი.

1877—1893 საბოლოო ტიპი და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

კვირას, 25 აპრილს, გადმოსვენებულ იქნება განვიდგან ტფილისის ნემტი ზოტის **თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა**. ეუწყებათ ეს ამბავი განსვენებულის ნათესავთა და პატივისცემულთ, რათა მოხრანდნენ ამ დღეს, დილის 9<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზედ, რუინის გზის ვაკეზედ, სანიდგანაზე ნემტს წასვენებენ დიდუბის, ძველის-ძობის ეკლესიაში.

## „ივერია“

გამოდის 1893 წელს იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

მისაც პსუკს დაიკავთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიხედვით მისი ტიპისა: ა) თითონ რედაქციის, ნიკოლოზის ქუჩაზე, ვარანცოვიძის პირდაპირ, თავ. გრუზინისკისულის სახლში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელიარის, სახანლოს ქუჩაზე, თავად-ანაურთა საიდგილ-მამული ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის ვაჭრე მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: **Тифлиси. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.** რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაცხადების გამო მასუხის მგებელ იქნება მართა იმ ხელის-მოქმედთა წინაშე, ვინც გაზეთის დაგეგმვისათვის სეკანდს ფუფუნს შიშობენ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ განცხადებაში წარმოადგენს, ანუ გამოცხადებს. გაზეთის ფასი დასაბუქდათ გაზეთის სათურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაგეგმვისა გამოცხადებულა უკანასკნელს ვერაზედ.

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირახულისა სეცევი-საგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით ეუწყებს მშენებნი, აბ, ხეხილიანის გადმობინა, თამბაქოსა, სვიდისა, და ბამბის ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განხორცილება ყოველ შემოსენებულის, სეცევისაგან დაზღვევისათვის. ვისაც სურს ჩაეწიოს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეცევისაგან უნდა მიმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველოამინოვის ქუჩაზე, ყიფიანისულის სახლში, კანცელიარის ზემოდ. ღია დილის 9-დამ წამუდღევს 2 საათამდე.

(50—25) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთიაკი

საქმისწვილა სურათებისა ქურნალი

## „ქმეხილი“

გამოვა 1893 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ქურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ედირება 3 მან., ტფილისის ვაჭრე ვაკეზედ 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

- 1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელიარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამანავთობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)
- 2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.
- 3) გორში—ე. ფურცელაძისას.
- 4) ბათუმში—მ. ნიკოლოზის გაზეთის სააგენტოში.
- 5) საჩხერეში—ყარამან ჩხვიძისთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлиси, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“ რედაქტორი გამოცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

### ივერიის რედაქციისაგან

მოუგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ სუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოგვსაწიონ პირველ მანამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოგვსაწიონ დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მანც, გაზეთის გაცხადება მოყვარება პირველ მანამდე.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა  
თხზულებანი  
**კაკი**  
წამოთღისა  
ტომი I ლექსები  
გადამცემი ამანავთობის მაღაზიის  
გასასყიდად  
**ფასი 1 მან.**  
(5—5)

### საზოგადოებრივი თავდადება.

დიდი ხანი არ არის მის აქეთ, რაც ქალაქს დერპტს იურიევის ქალაქი ეწოდა და დერპტის უნივერსიტეტს—იურიევის უნივერსიტეტი. ამასთანავე გერმანულის მაგიერ, რომელზედაც იყო სწავლება ამ უნივერსიტეტში, შემოადებულ იქნა რუსული ენა.

საფუძვლად ასეთის საურთიერთობა ცვლილების მოყვანილი იყო ის მიზეზი, რომ დერპტს წინადაც იურიევი რქმევია. ენა შეტერბურგის გერმანული გაზეთი „St.-Petersbourg zeitung“ სწერს ამ საგანზე: „ბევით წყაროდგან შევიტყუთ, რომ შემდეგში იურიევის უნივერსიტეტში სადგომის-მეტყველო ფაგულტეტზედ სწავლება გერმანულს ენაზედ იქნება.“

წაიკითხა თუ არა ეს ამბავი „Нов. Вр.“-ს რედაქტორმა, ადგილი სუვარინმა—აღელდა და ამოუთქმა! განთქმულმა შეტერბურგის პუბლიცისტმა ვერ მოითმინა ამ ნაირი შებღალვა თავის პატრიოტულის გრძობისა!

ეს რომ მთელის უკანასკნელის ჩვენის პოლიტიკის წინააღმდეგი იქნებოდა, ამბობს სუვარინი, რადგანაც ვადაწყვეტილია, რომ ყველა ვაჭრე ტომი, რომელიც-კი არის შემოსული დიდს რუსეთის იმპერიაში, ბუკითა უნდა გარუსდეს.“ უნდა გამოვტყუდეთ, ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს ბასი ვავმართოთ ბნ სუვარინთან ამ საგანზედ. არა გვაქვს სურვილი იმით-კი არა, რომ „Нов. Время“-ს რედაქტორის ნათქვამს მნიშვნელობა არა ჰქონდეს რუსუ-

თის მწერლობაში. არა, ბ-ნი სუვარინი დიდი შესამჩნევი პუბლიცისტი, მაგრამ იმისი და ჩვენი იარაღი ამ შემთხვევაში სულ სხვა და სხვაგვარი იქნება და გამოთობა და ბრძოლა-კი მხოლოდ მაშინ არის შესიერი და სამართლიანი, როდესაც ერთნაირის, თანასწორის იარაღით ვუსწორდებოდეთ ერთმანეთს. ამას შემდეგ ვფიქრობთ, ცხადია, რისთვისაც არა გვსურს, გამოვვებამოთ რუსულ გაზეთის მწერლებს...

ამ საქმეში ჩვენ მხოლოდ ერთი რამ არ გვქმნის: როდის აქეთ შეიქმნა ბ-ნი სუვარინი უმადლესის ნებისა და განაჩენის გამოძევალი?

რამდენადაც ვიცით, ამ ნაირი მინდობილობა არავის არ მიუნიჭებია „Нов. Время“-ს რედაქტორისათვის და მთელის მართებლობის მაგიერად ლაპარაკი მეტირობა არის!

არც ის გვექმნის, მზგავსის აზრების გავრცელება რა კეთილი და გონიერი სამსახური უნდა იყოს თვითონ რუსეთისათვის?!

გაგებული და ერთგული მოდგაწე იმას უნდა სცდილობდეს, რომ ერთა შორის, რომელიც შეადგენენ ნაწილს მისის სამშობლოსისა, დაინერგოს სათნოება და სიყვარული თავის ქვეყნისადმი და არა შიში. თვით-არსებობისათვის შვიცარიის გერბზედ შემდეგი საგულისხმო სიტყვები არის ამოჭრილი: l'union fait la force, ე. ი. გაგშირი შეიქნა ძლიერებასა. გარგი იქნებოდა ზოგიერები ხშირად განსვენებდნენ ამ ჭკვიანურს დევიზს. არ იფიქროს-კი შეტერბურგის გაზეთის რედაქტორმა, რომ ჩვენ შესახებ რაიმე მნიშვნელობას ვაძლევდეთ მის ნათქვამს ამ შემთხვევაში! ჩვენ აქ სრულიად განუხებულად შევხებით საგანს და ვამბობთ საზოგადოდ, რომ ამ ნაირი პროტიალი „... ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

რუსეთში უზუნაქის ნებისა და განაჩენის გამოძევალი არის ერთი კაცი. ეს კაცი ბრძანდება თითონ ხელმწიფე იმპერატორი. მაგრამ ხელმწიფეს არაოდეს არ უბრძანებია მზგავსი იმისა, რასაც მოგვიტარებს რუსეთის თამამი პუბლიცისტი.

პირიქით, ვავიგონია სულ სხვა. ხელმწიფეს არა ერთხელ გამოუცხადებია საქვეყნოდ, რომ მისთვის ყველა ქვეყნადი თანასწორია.

ქართველი ერი ერთობ გულდუნადობილი არის თავის ძვირფასის მეფის სიყვარულზედ! 1888 წ. ხელმწიფემ ინახულა თავისი ერთგული საქართველო და ამით კარგად იცნეს ერთმანეთი. გული მეფისა ჩინებულად გრძობს, თუ როგორის ალტაცებითა და სიყვარულით შესცქეროდა თავის მეფე-

დედოფალს ქართველი ერი! ამ ნაირივე გრძობა უფიქროდა უთუოდ ხელმწიფესაც ქართველებსადმი, რადგანაც ნათქვამია: „გული გულს იცნობს და თვალი თვალს“. ამიტომ ჩვენ სრული გული-დამშვიდებით შევეურებთ „Нов. Время“-ს რედაქტორისთან გაცების ბრანდავს.

მეველი

## ახალი ამბავი

\* \* ქალაქის გამგეობა ამ ცოტა ხანში წარუდგენს სარჩიელს საბჭოს მასხედ, რომ უკეთესი ფარები შემოიღონ ღიღრონ ქუჩებსა, მოედნებსა და ხიდებზედ, თითო ლამპარი თავის ფარითა და მოწყობილობით ჯდება 10 მანეთი და 25 კაპეიკი. რადგანაც ქალაქს აქვს სულ 2170 ფარანი, ამიტომ ყველა ფარების გამოცვლას მოუნდება ორიოთხის სამს თუმანამდე, რასაც ქალაქის კასა ვერ შეიძლებს ერთბაშად. ხოლო ძრიელ დასახლებულ ქუჩებზედ, როგორც არის გოლოვინის პროსპექტი, მიხეილის ქუჩა და სხვანი, ანუ მოედნებსა და ხიდებზედ ქალაქს მოუნდება სულ 350 ფარანი, რაცა დაჯდება 3587 მანეთი და 50 კაპეიკი. ამ ფულსა სთხოვს გამგეობა საბჭოს. გარდა მისის სთხოვს კიდევ 364 მ., რითაც შესაძლებელი იქნება გამოცვალის მოწყობილობა ლამპრისა, ქალაქის დანარჩენ 1820 ფარანში. ასეთი გამოცვლა განაკარგებს სინათლეს დანარჩენს ფარებისას. ამ სახით ქალაქის გამგეობა ითხოვს განათების საქმეზედ სულ 3951 მანეთს და 50 კ., რაზედაც, უეჭველია, საბჭო უარს არ იტყვის.

\* \* ტფილისის პირველ გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭო, გარდაწყვეტილებით ამ სასწავლებელში ეგზამენები 8 მაისს დაიწყება და ერთის თვის განმავლობაში გათავდება, ე. ი. 8 ივნისს.

\* \* ამ დღეებში ტფილისში მოვა ბ-ნი ფ. ვესტმარკი, რომელიც კარგა ხანს მოგზაურობდა აფრიკაში, და რამდენსამე ლექციის წაიკითხავს თავის მოგზაურობის შესახებ.

\* \* ტფილისის პოლიციის ინსპექტორმა უბრძანა 1, 6 და 7 პოლიციის ნაწილების ბოქალეებს, მოიწვიეთ მენავეები და დაავალეთ ნაგები მალათოვის კუნძულთან დააყენოს და მზად იყვნენ ყოველ შემთხვევისთვის, რათა, ვინცობაა მტკვარმა იმატა და ნაპირები წაღვეს, შემწეობა აღმოუჩინონ რიყზედ მცხოვრებთაო.

\* \* კვირას, 25 აპრილს, არტისტი ქალი კნ. ბ. ავალიშვილისა გამარ-



თავს წარმოადგენს. წარმოადგენენ ახალ პიესას გულისაშვილისას, „დრონი მეფობენ“. ამ პიესაში უმთავრეს როლს შეასრულებს სცენის მოყვარე გ. ჟ.—ლი.

\* \* კ. საფაროვ—აბაშიძისას მოუწევია გამოჩენილი არტისტი ქალი კლერ კორლიე, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა ტფილისს და მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ხუთ შემდეგ პიესებში: „ტრაგიკა“, „კარმენ“, მადამ ანჟო“, „დღე და ღამე“ და „მოგზაურობა ჩინეთში“.

\* \* 19 აპრილს ტფილისის მეექვსე ნაწილში თითქმის ერთსა და იმავე დროს 14 ოჯახი გახდა ავად, ყველას სტომაქი მოეშალათ და პირიდანაც ასაქმა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ყველას, ვინც ავად გახდნენ, ახალი ყველი უჭამიათ, რომელსაც ეყიდნათ მაღათ უსეინ-ოღლის დუქანში. ცხელი მწარე აღმოჩნდა და სრულიად უფარგისი.

პოლიციისებრმა ბრძანება გასცა ბოქალოთ, ყველა დუქანებს ყურადღება მიექციონ და სთხოვონ ქალაქის ექიმებს დუქანებში გასასყიდი ყველი დათვალიერონ.

\* \* 17 აპრილს საარტისტო საზოგადოების დარბაზში გამართული იყო კონცერტი; მონაწილეობას იღებდნენ ის ქალნი, რომელნიც წელს ამთავრებენ სამუსიკო სწავლას ტფილისის სამუსიკო სკოლაში. სხვათა შორის, კონცერტში მონაწილეობა მიიღო ქართველმა ქალმა კნაიანა ბარბარე ამირჯიანისამ. სცენაზედ გამოვიდა ნახი, ნარნარი, მორცხვი სიწრფელით სახე თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლიანი, მოკრძალებით დასჯდა როიალს თან და ოდნავ ხელი შეხია კლავიშებს. ყმაწვილი ქალი უკრავდა უკვდავის შობენის კონცერტს f—moll, კონცერტს ფრიად რთულს და მასთან მეტად მშვენირს. დაკრა, რომელიც პირველში ნელი იყო, ნახი, შემდეგ თან-და-თან გაძლიერდა, რიბი მოემატა; ხმა როიალის ხან თითქმის ცას უწევდა, ხან ჩურჩულსა მგვანდა, ისე დაბლდებოდა და გულის სიღრმეების აღწევდა.

ყოველი ნოტი, ყოველი ჰანგი ისე მარტივად და გარკვევით ისმოდა, ისეთის გრძობით და აზრით იყო სახე, რომ მსმენელი აღტაცებაში მოჰყავდა. ორკესტრი, რომელიც ფორტპიანოს დამკვრელს ზელს უწყობდა, თითქო შორს სადღაც უკრავდა, ბანს აძლევდა და საერთო შთაბეჭდილებას აორკეცებდა.

ტფილისის სამუსიკო სკოლაში საშახე მეტი ქალი სწავლობს, ამათში ქართველები ოცდახუთზე მეტი არ არის ლე კნაიანა ამირჯიანისა პირველი დამკვრელი აღმოჩნდა მთელ სკოლაში. ცხადია ამას შემდეგ, რამდენად უსაფუძლოა ზოგიერთების აზრი, ვითომ ქართული ყური ევროპულ მუსიკის შეთვისებას ვერ ახერხებსა.

ამბობენ, კნაიანა ბარბარე ამირჯიანისას კომპოზიტორობის ნიჭიცა აქვსო და ამისათვის მუსიკის სწავლას მოსკოვის კონსერვატორიაში განაგრძობსო.

\* \* გუშინ-წინ, 21 აპრილს, დამის ათ საათზედ, მიხეილის ქუჩაზედ ცეცხლი წავიდა სერგეი ბუდალოვის ნავთის საწყობს. გაღიწვა ნავთის სა-

წყობი და სამი დუქანი. 10<sup>1</sup>/<sub>2</sub>, საათზედ მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და 12 საათზედ ცეცხლი ჩააქრეს. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ბუდალოვს ნავთის საწყობი საღამოს 7 საათზედ დაუკეტია და აღარ უფაქრია. დამის ათ საათზედ-კი მოსულა ვილაც კაცი და უთხოვინა ბუდალოვისთვის, ორი გირვანქა ნავთი მომყიდო. ბუდალოვს უთქვამს თავის მცირეწლოვან მოჯამაგირესთვის, ნავთი გამოიტანო. ბიჭიც შესულა ნავთის საწყობში სანთლით; უცებ სანთელი ხელიდან გავარდნია. ნავთით სახე ბოჩაში ჩავარდნილა და ცეცხლი გაჩენილა. ბავშვის გადარჩენა ძლივს მოუხწვრიათ, ცეცხლი-კი მოსდებია შენობას. ზარალი ჯერ არ იცინა რამდენია. ბუდალოვს თავის დუქანები დაზღვეული ჰქონია 3000 მანეთად.

\* \* ტფილისში ხმა დადის, რომ აქაურ საკრედიტო საზოგადოების დირექტორად ნამყოფი ნ. გ. გარსიაევი, რომელიც სადღაც მოსკოვის ახლოს სცხოვრობდა, უცებ სადღაც გაჰქრა და არავინ იცის, სად წავიდაო.

\* \* ტფილისის საკრედიტო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ დროებით დანიშნულ იქნა იმავე გამგეობის წევრი თ. ვ. მ. ბებუთოვი, ხოლო ბებუთოვის ალანას მიწვეულ იქნა წევრად კანდიდატი ლ. ს. აპიანკი. კასსა ჩააბარეს ბ-ნ ენიკოლოფოვს.

\* \* გუშინ-წინ, 21 აპრილს, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა გ. ვ. დანილოვმა, პროკურორის კ. კ. შმიდტის თანადანსწრებით, ჩვენება ჩამოართვა ტფილისის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარეს ნ. ი. ამბატუნს, რომელსაც ჰბრალდება ყალბის ქალაღების შედგენა და ქალაღებში შესწორება სხვა-და-სხვა განზრახვით, საკრედიტო საზოგადოების მოხელეთა მიერ ყალბის ქალაღების შედგენა და სხვ. ამ დანაშაულობისთვის კანანოთ დადებულია ყოველგვარ უფლებათა და ქონების ჩამორთმევა და ციხიბრში გადასახლება.

ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ნ. ი. ამბატუნი თავისსავე სახლში დაბატონრეს და კარებთან ორი პოლიციელი დაყენეს დარაჯად (T. J.).

\* \* გაზეთ „Н. О.“-ს შეუტყვია, რომ ტფილისის ზოგიერთი მკვლავრებნი ბურსა ყიდულობენ და განზრახვა აქვთ ეს ბური ნაყიდ ფასად მიჰყიდონ თელავის მაზრაში გაქირვებულ გლეხობას.

\* \* გაზეთი Пет. Лист.-ი იუწყება, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ მოკლე ხანში განიხილავს პროექტს შესახებ იმისა, რომ მთავრობამ თითონ გააშენოს კავკასიაში ჩაის პლანტაციები. ხმა დადის, რომ განზრახვა აქვთ პლანტაციების გაშენებას ამ ზაფხულსავე შეუდგებიან შავის ზღვის ნაპირებზედ.

**წლიური კრება ტფილისის სათავად-ანაწარმო საადგილ-მაგულო განაჩის წამრთა**

22 აპრილს კრება დ. ი. მუსხელიაშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო. წაი-

თხულ იქნა ოქმი, რომლის მკვირვანად შესწორების შემდეგ, ლაპარაკი გამოიწვია სეკრეტარიატის დაწესებამ, მისთვის სასყიდლის რაოდენობის გადაწყვეტამა და ბოლოს მის მიერ შედგენილ ანგარიშის შემოწმებამ. ამას ზედ დაერთო ბასი ასისტენტების საქიროების შესახებაც.

სასყიდლის რაოდენობის გადაწყვეტა მიენდო ზედამხედველ კომიტეტსა და ბანკის გამგეობას; საქმე ასისტენტებისა წესისა და რიგის დაცვისათვის კრებაზედ დადგინდულ კამათობის ბოლოს გადაწყვიტათო. რაც შეეხება შემოწმებას, მაგ საქმეს ვერ იკისრებს ვერც ზედამხედველი კომიტეტი, ვერც გამგეობა და ვერც ცალკე კომისიაო. ვინ იტვირთებს პასუხის გებას, რომ სწორედ ისე ჩაიწეროს ყოველივე ანგარიში, როგორც ნალაპარაკევი იყო ორატორთა მიერო. თვით იმ ორატორებმა უნდა შეამოწმონ, რამდენად სიმართლით არის ჩაწერილი იმათი სიტყვა-პასუხიო. ან არა და, როგორც მოწყველმა და ამისთანა წერას მიჩვეულებმა ჩასწერეს, იმას უნდა დავენდოთო. მაინც სეკრეტარიატის ანგარიშს ხომ ჩვენთვის არავითარი საფაღდებულო მნიშვნელობა არ ექნება და მხოლოდ ხელ-მძღვანელობას გაუწევს შემდეგში იმას, ვინც მონიღომებს გაითვალისწინოს მეტ-ნაკლები სინამდვილით, რაც იყო ჩვენს კრებაზედაო. კრებამ განსაჯა, ეს საგანიც დადგინდულ კრების ბოლოს გადაწყვიტათო—ვის მივანდოთ ეგ შემოწმება—ზედამხედველ კომიტეტს, კომიტეტსა და გამგეობას ერთად, თუ ცალკე კომისიასაო.

ამას შემდეგ კრება შეუდგა დაფასებათა ინსტრუქციის განხილვას, მაგრამ ვიდრე არსებითად დაიწყებდნენ მის განსჯას, კამათობა ჩამოვარდა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ინსტრუქციის განხილვა ამოდენა კრებაზედ, მერე როცა ინსტრუქცია დიდია და შიგ 40—50 პარაგრაფიაო. ამას გარდა ინსტრუქციას ზედ არა აქვს დართული განმარტებითი წერილი, მოხსენება ბანკისა, და არც აღნიშნულია, რა არის შეცვლილი მაგ ინსტრუქციაში, რა მოსახრებითა და საბუთებითაო, და სხვ.

ამის პასუხად ითქვა, რომ მაგ განმარტებისათვის მთელი ერთი წიგნი კიდევ უნდა დაწერილიყო და გამორკვეულიყო, რა აზრითა და რა საბუთით არის მიღებული ესა თუ ის მუხლი ინსტრუქციისაო. წიგნს რომ წიგნი დაჰმარტებოდა, უფრო გაუძნელებოდა კრებას განხილვა საგნისაო. რა ბრძანებაა, ვითომ ამისთანა ინსტრუქციის უთუოდ ზედ უნდა დაერთოს მოხსენებაცაო. ირლანდიის პომრულს, რომელიც მუხლებად არის დაყოფილი, არავითარი განმარტება არ წამძღვარებია. თვით მუხლებივეა ამხსენელი და გამრკვეული ყოველ საქმის შესახების გარემოებისა. ბძანეთ, თუ გნებავთ ინსტრუქციის განხილვა არსებითად, და იქნება ან გამგეობამ ან კრების რომელიმე წევრმა ახსნას და დასაბუთოს თითოეულის მუხლის საქიროება და მნიშვნელობაო.

შესაძლოა ასეც გადაწყდეს ეს საქმე: ამ ერთს წელიწადს კიდევ დარჩეს საცდელად ეგ ინსტრუქცია და შემდეგის კრებისათვის დაწერილებით აიხსნას, რა არის ინსტრუქციაში სა-

სურველი და რა არაო. ეს ადვილი იქნება, თუ განმარტება დაერთო, ძველი მუხლი და ახალი ერთად დაიბეჭდა პარალელურად და სხვ. თორემ, ამა ეხლა რა მოეუხერხოთ ამოდენა რვეულს, 30—40 პარაგრაფს, რომელთა შორის ზოგი ისეთია, რომ იქნება ერთს დღესაც ვერ განვიხილოთო. ასეთია, მაგალითად, მეთერთმეტე მუხლიო, რომლის ძალითაც ბათუმს, ამ, გამგეობის აზრით, ფრიად საშიშს ადგილს საადგილ-მამულო კრედიტისათვის, და ქაობიანს ფრთის ისეთივე ღირსება აქვს მინიჭებული, როგორც სხვა უშიშარს საგუბერნო ქალაქებსაო. ასეთივეა მუხლი მე-12, საცა სწერია, რომ გამოაკელით 20% სრულს წლიურს შემოსავალს დასაფასებელ მამულისასაო. ამ პარაგრაფით რომ ვიხელმძღვანელოთ, არც ერთი მამულის პატრონი აღარ შემოიტანს ჩვენს ბანკში მამულს დასაგირავებლადო. ან წინად რომ გვეხელმძღვანელნა მაგ წესით, ვერც ერთს მამულს ვერ დააგირავებდა ბანკიო. ამ არწრუნისეულს ქარვასლაში, რომლის შემოსავალიც იყო დაგირავების დროს 35 ათასი მან., უნდა მივგეცა არა უმეტეს 200,000 მ. ბანკმა-კი მისცა სესხად 460 ათასი მანათიო.

აქ ჰომარული და გლადსტონი რა მაგალითად მოსტანიაო, დაურთო ბოლოს ავტორმა ამ შემოხსენებულ შენიშვნებისამ, თ. ივ. მაჩაბელმა. გლადსტონი და ჩორჩილი აქ არავინ არის და სჯობს ისევ თავი დავანებოთ ამებსაო. წინასწარმეტყველებისას-კი არაო, ერთს მცირე ნიჭს-კი ვჭმობ და ამ ნიჭს არავის გავათელინებ, არც ხელითა და არც ფეხით. ეს ის ნიჭია, რომ მე ზეპირად, მგონიაობით არას ვლაპარაკობ, არამედ ყოველსავე ვამყარებ საბუთებსა, ციფერებსა და ქალაღებზედაო.

გამგეობის თავმჯდომარემ ასე უპასუხა თ. ივ. მაჩაბელს ყოველსავე ამზე: თ. ივ. მაჩაბელმა ხშირად იცის ხოლმე წინასწარმეტყველება, როცა საბუთი არა უქირავს-რა ხელში ასეთის წინად-დანახვისა და შორს მხედველობისათვის. მე აქ სამინისტროს-მიერ ჩვენდა სახელმძღვანელოდ და საფაღდებულოდ მოცემული ინსტრუქცია წავიკითხეთ და ეგ საბუთი არ არისო. სწორედ ეგ ათავალწუნებული მე-12 მუხლი ამ სამინისტროს ინსტრუქციიდან არის გადმოწერილი ჩვენს ინსტრუქციაში და მაგაზე ბრძანებს ორატორი, მაგით ხელმძღვანელობა ყოველად შეუძლებელია, არც ერთი ჩვენგან სესხს აღარ გაიტანსო.

მოგესხენებათ, რომ ფინანსთა სამინისტროს გარდა, ბანკების საქმეს თვალ-ყურს ადევნებს ერთი დაწესებულება პეტერბურგისა, რომელსაც ეწოდება კომიტეტი საადგილ-მამულო კრედიტის წარმომადგენელთა. ამ კომიტეტის მუშაობაში ჩვენც გვქონია პატივი და შემთხვევა მონაწილეობა მიგველო. აქ იყო სჯა, რომ საქალაქო საკრედიტო საზოგადოებათა, წესდების ძალით, ნება აქვთ დაფასების ფულიდამ 75% გასცენ სესხადო და საადგილ-მამულო ბანკებს-კი მხოლოდ 60%-ო. ამის გამო შემოხსენებულნი საზოგადოებანი სჩაგრავენ, სძალავენ საადგილ-მამულო ბანკებსაო. ეს შესჩივლა კომიტეტმა სამინისტროს. სამინისტრომ ამ უხერხულობის ასაცილებლად

ერთი ღონე ჰპოვა: მხოლოდ წესდების შეცვლა-კი არ შეიძლება ისე, როგორც თქვენ გინდათ და სხვაგორ-კი მოველება საქმესაო. შეადგინეთ ინსტრუქცია დაფასებათა, ეგ თქვენს ნებაზე არის, უფლება გაქვთ, და იქ მოიხსენიეთ, რომ შემოსავალი მამულისა ასე აღირიცხო: რაც ერთს წელიწადს შემოიღოს, ის 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> ჯერ გაამრავლეთ, მეტად-კი აღარა, და გაციით 60%-ი ამისი. ეს 60% სწორედ იმდენი იქნება, რასაც აძლევს ქალაქის საკრედიტო ბანკი, როცა მამულის შემოსავალს ამრავლებს 10-ზედ, ესე იგი 75%-ი. ახლა, ვიკითხოთ ერთი, სად წაუვალთ ჩვენ ყოველსავე ამას? დავიჯერო, ყოველ ამას ანგარიში არ უნდა გავუწიოთ? დიდაც რომ აქ არც გლადსტონია ვინმე და არც ჩორჩილი, მაგრამ როცა საქმე არ გვეყურება, სხვას მაინც უნდა დაუგდოთ ყური. ჩვენ ხომ ისეთის ქუთის ხალხი არა ვართ, რომ ქუით და ცოდნით ძლიერთა მაგალითი ჩვენთვის გამოსადგეცა და საფაღდებულოც არ იყოს.

აი ყოველ ამას შემდეგ მე აღარა მჯერა-რა თ. ივ. მაჩაბელის წინასწარმეტყველებისა. როცა %-ს უკლებდით შემოსატანისას, მაგავე ორატორმა იწინასწარმეტყველა, რომ არავითარი შემოსავალი არ ექნება ბანკსაო, მაგრამ გამოცდილებამ დაგვიტყვა, რომ შემოსავალმა უფრო იმატა. მე-12 მუხლით ერთი წელიწადია ვხელმძღვანელობთ და 18 წლის განმავლობაში არც ერთხელ იმდენი მამული არ დაგირავებულა ჩვენს ბანკში, რამდენიც შარშან. არც აქ გამართლდა თ. მაჩაბელის წინასწარმეტყველება. უმოხსენებოდ, განუმარტებლად არ იქნება ინსტრუქციის წარმოდგენაო, მაგრამ ეგ მოხსენებაც რომ წარმოვადგინოთ, მაინც, ვისაც არ უნდა, არც მაგით დაკმაყოფილდება. გრძელს მოხსენებას წარმოვადგენთ, გვეტყვიან, რა უბედურებაა ეს ამოდენა მოხსენებაო; მოკლეს წარმოვადგენთ კიდევ და—ამ თითის სიგემ მოხსენებამ რა უნდა გავგიმარტოსო. ბატონებო, ტყუილად ირიდებთ თავიდან ამ ინსტრუქციას. უბრალო საგნების შესახებ იმდენს დროსა ვკარგავთ და ინსტრუქციისათვის აღარ გვინდა საკმაოდ გავისარჯოთ. ეგ ინსტრუქცია საფუძველია ბანკისა, მისი ძალა და ღონე. წელს არა, მერე მის მაინც უნდა გასინჯოს კრებამ. ხოლო თუ საქმელოა ამის გასინჯვა თქვენთვის, ამოირჩიეთ კომისია და იმას მიანდეთ ეგ საქმე. კომისიამ გასინჯოს, განიხილოს დაწერილებით და თავისი აზრი წარმოადგინოთ მერმის საზოგადო კრებაზედაო.

ესევე აზრი წარმოატქვენ დასაბუთებით თ. დ. გურამიშვილმა, ალ. ხ. ჩოლაყაშვილმა, თ. ნ. ორბელიანმა და სხვათა.

მცირე ხანს შესწყდა კრება 2 საათზე და, როცა კვლავ დაიწყო, არჩეულ იქნა კომისია ინსტრუქციის განსახილველად. კომისიაში არჩეულ იქნენ: თ. ივ. მაჩაბელი, მიხ. მაჩაბელი, ლ. ვაჩანძე, დ. ხ. ბარათაშვილი, კონსტ. ფურცელაძე და ალ. მირზაშვილი.

კრება დათხოვნილ იქნა ნაშუადღევს 4 საათზე. არჩევანი ასისტენტებისა, რომელნიც უნდა მომხდარი-

ყო კრების ბოლოს, დღესთვის გა-  
აღიდა. დღევანდელი კრება დანიშ-  
ნულია დილის 9 საათზედ.

### ს. გარბნის წმიდა ვიწრობი და მისი ღმერთა.

ვისაც-კი ამ ჩვენს მხარეს უფლია,  
ის მაკუზაურობის დროს ადვილად  
შენიშნავდა სოფ. სიონის ქვემოთ,  
ყაზბეგისკენ, კავკასის გზისვე მახლო-  
ბლად, მარჯვნივ მხარეს, დიდს ძვე-  
ლებურ ეკლესიას, რომელსაც აქვს  
შპოვლებული დიდივე ნახევრად  
დაქცეული გალავანი. ზოგიერთების  
გაღმარებებით, ეს ეკლესია აუშენებია  
საქართველოს მეფეს ვანტანგ გორა  
გასლანს. ზოგნიც ამ აზრის წინააღ-  
მდეგ სხვას ლაპარაკობენ და ამბო-  
ბენ: „გორგასლანმა-კი არა, თამარ  
მეფემ ააშენაო.“ რასაკვირველია, აქ  
მარტო ხალხის ლაპარაკით ნამდვი-  
ლის გამოკვლევა ერთობ ძნელია,  
რადგანაც ამის შესახებ დამატკიცე-  
ბელი საბუთი არა გვიპირავს-რა ხელ-  
ში.

ეს ეკლესია საუცხოო ხელოვნე-  
ბით აშენებულია\*) გათლილის ქვით.  
კედლები, საძირკვლიდან დაწყებული  
ვიდრე სათავებამდე, დღესაც ისევ შე-  
ურყვევლად დგას, მხოლოდ სამ  
ალაგს-კი ცოტად მიზეზის შესვლა  
ეტყობა, მაგრამ გარეგნის კიდევ რამ-  
დენიმე ათი წელიწადი ისე, რომ კი-  
დეცაც არ დაიქცევა, მხოლოდ ზევი-  
დამ დახურული აღარ არის და თა-  
ლა მთლად შუგ არის ჩაბრუნებული.  
მარტო ეს ყოფილა ოდესმე ერთად  
ერთი ხევის საზოგადო სათემო სა-  
ლოცავი, სადაც ყოველივე სათემო  
საქმე სწყობდა. ამისათვის ამ ხატის  
დღეობას უწინ დიდ-ძალი ხალხი  
მოდენილა და ესლაც მოდის ხოლმე,  
მხოლოდ ესლა-კი არა ყოველ წლო-  
ბით, არამედ ხუთ წელიწადში ერთ-  
ხელ, რადგანაც ყოველ მეხუთე  
წელზე სხვა რაგით იციან გარბან-  
ლებმა ამ დღესასწაულის გადახდა.

ხალხისავე გაღმარებებით, ამ ეკლესი-  
ის დიდძალი ნივთიერი სიმდიდრე  
ჰქონია და აქვს დღესაც, სადაც  
კედელში თუ მიწაში შენახული.  
მხოლოდ ხალხმა დროთა ვითარების  
გამო, ის ადგილი დაიფარა და აღარ  
იცის. ხალხმა მარტო ის იცის და  
ის-ღა ახსოვს, რომ სადაც ეკლესი-  
ისის ქვეზე წარწერანი უნდა იყოს,  
რომლებს საშუალებით ამ სიმდიდ-  
რის პოვნა ადვილად შეიძლებოდა.

წარსულის 1892 წლის აპრილის  
19-სა ამ დღეობას ვიყავით მე და  
ორი მღვდელი, სახელდობრ: ზ. კ—ძე  
და ბ. ბ—ვი. ჩვენ სამთავრულ-წმი-  
ნად გადავსინჯეთ ამ ეკლესიის  
წარწერანი, სადაც გარდებან აღმო-  
სავლეთის მხარეს, დაბლა, დედამიწი-  
დამ 2 არშინის სიმაღლეზე ვიპოვეთ  
ერთს ქვაზე ხუცურის ასოებით შემ-  
დეგი წარწერა: „წმინდის გიორგის  
უქრუა (ოქრო), ახლა კიდევ მეორე  
ქვაზე (პირველის ქვიდან 3 არშინ-  
ნით უფრო მაღლა), რომელსაც აქვს  
მარტო ორი ასო ხუცურად წარ-  
წერილი (აგ). ცხადი საქმეა, ეს ორი  
ასო უნდა ნიშნავდეს მთელ სიტყვას  
და, თუ არა ვსცდები, უნდა იყოს  
„აქვე“, რადგანაც წარწერილ ქვებ-  
ში პირველი ქვა უფრო სამხრე-

თის მხრივ კუთხისკენ არის, ხოლო  
უკანასკნელი „აგ“ დასმული ქვა-კი  
ჩრდილოეთის მხრივ კუთხისაკენაა.  
ექვი არ არის, რომ აქ ფული უნ-  
და იყოს, თუ კაცმა თავი დასდვა.  
იქნება არც პოვნა იყვეს ვასაქირი,  
მაგრამ, როგორც მოგვხსენებთ, ჩვე-  
ნის მდაბია ხალხის ჩვეულება, ხალხს  
ხატისა და მიზეზებისა ეშინიან და  
ამიტომ თავის დადება ვერ გაუბედია  
მოსაძებნად.

მარშან ამ წარწერების აღმოჩენის  
შემდეგ მე ბევრი ვეჩინე სოფელს,  
რომ ეს ფულები მოეძებნათ და, თუ  
იპოვიდნენ, იმავე ეკლესიის სასარგებ-  
ლოდ მოეხმარებინათ. აღმთქვეს, რომ  
მომავალ კვირა დღეს მღვდელს ვა-  
წიროვნებთ, ბატკანს დაგვლავთ და  
შემდეგ ძებნის თავდარივს ვნახავთ,  
მაგრამ ბოლოს მიზეზების შიშით ვე-  
ღარ გაბედნათ მოძებნა ხსენებულ  
ფულისა.

გარბანლებმა წელიწადში ორჯელ  
იციან ამ ხატის დღეობა, რომელსაც  
ანგარიშობენ ქრისტეს აღდგომის დღე-  
დგან. პირველი ხატობა ამ სოფლი-  
სა აღდგომიდან მეორე კვირას  
არის და მეორე-კი აღდგომიდან მე-  
თე კვირაზეა.

ამ წელს, პირველი დღესასწაული  
გარბნის წმინდის გიორგისა იყო მღვო-  
მარე აპრილის 11-სა. ცუდის ამინდე-  
ბის გამო, მლოცავი არ მოვიდა და  
დღესასწაულმა მეტად მოწყენილად  
ჩაიარა. ის ფართო მოედანი წმ. გიო-  
რგის ეკლესიისა, სადაც სხვა წლებ-  
ში „მხეწრად“ მოსული ხალხი ერ-  
თად მოიყაროდა თავს და გამართავდა  
ამწვანებულ ბაღახედ ცეკვა თამა-  
შობას, ამ წელს სულ წმინდათ  
თოვლით იყო დაფარული.

ბ. ბ—ვილი.

### წარწერა (უწინა-გაზეთებიდან)

„ბავშვის გული მეტად გრძნო-  
ბიერიაო, სწერს ბეჭდისკე; სწო-  
რედ ეს არის მიზეზი, რომ ადა-  
მიანს მთელს სიცოცხლეს ახსოვს,  
რაც-კი ბავშვობაში წაუციტხავს და  
მოსწონებია. ბედნიერია ის კაცი,  
რომელსაც უმაწვრილობისას მხო-  
ლოდ სასარგებლო რამ წაუცი-  
ტხავს და გაუგონია“?

როგორი წიგნები უნდა წაიკი-  
თხას უმაწვილმა.

ზღაპრებიო, ამბობენ, და მართა-  
ლიც არის. ბავშვებს ძლიერ უყ-  
ვართ ზღაპრების წაგონება და გა-  
გონება. ზღაპრებს დიდი გავლენა  
ჰქონიათ ისეთს გამოჩენილ კაცებ-  
ზედ, როგორც მაგალითად არიან:  
გეტე, ჟორჟ-ზანდი, ანდერსენი,  
დეკენსი, პუშკინი. ყველა ესენი ამ-  
ბობდნენ, რომ უმაწვრილობისას ძლი-  
ერ ბევრი ზღაპარი წაგვიკითხავს  
და გავგიგონებ და პირველად ამ  
ზღაპრებმა გავვისხნა გონებაო. რა  
თქმა უნდა, რომ ზღაპრებიც არის  
და ზღაპრებიც. ისეთი ზღაპრები,  
მაგალითად, სადაც დევებსა და  
ჭინკებსზედ, ქაჯებსა და ათას  
გვარ სამიმ რამეებზედ არის ლა-  
პარაკი, სასარგებლო-კი არა, პირ-  
იქით მავნებელიც არის ბავშვის-  
თვის. ზღაპრების გარდა უმაწვი-  
ლისთვის ძლიერ სასარგებლოა  
ისეთის წიგნების წაკითხვა, სადაც  
ზღაპრები ბუნებაზე, სხვა-და-სხვა  
ბუნების მოვლენაზედ და სხ.

ბავშვი ყოველ დღე ჰკითხავს  
მამაბაბებს, ეს რად ხდება ასე?  
წვიმა რად მოდის? ქარი რად  
ჰქრის? და სხვა. ყველა ამ კითხ-  
ვებზედ ბავშვი წიგნში ამოიკით-  
ხავს პასუხს.

გაზეთ Рус. жи. ში დაბეჭდი-  
ლია ს. კ. აკსაგოვის შემდეგი სი-  
ტყუები:

წიგნიდან ვიპოვე უმაწვრილობისა, რა  
არის ქუბილი, ღრუბელი, წვიმა, ელვა.  
როცა წიგნებში შეხვდით სხვა-და-სხვა მცე-  
ნარეთა და ცხოველების აღწერას, მე თი-  
თან მოვისურვე, ყველა ეს ჩემის თვლით  
მენახა.

იგივე გაზეთი სწერს, რომ უმა-  
წვილებისთვის დიდად სასარგე-  
ბლოა ისტორიულ წიგნებისა, პა-  
ტარა მოთხრობებისა და დიდებულ  
კაცთა და მოღვაწეთა ბიოგრაფიე-  
ბის წაკითხვაო. სმაილსი სწერს:  
დიდებულ კაცის ბიოგრაფიის წა-  
კითხვას ძლიერ დიდი მნიშვნელო-  
ბა აქვს, იგი დააფიქრებს ცხოვ-  
რებაზედ, საზოგადოებაზედ და  
შენს გულშია ატარავს სურ-  
ვილს, მეც ასე მოვიქცევი, მეც  
ასე ვიპრობებ, მეც მსურს ქვენი-  
სთვის სასარგებლო კაცი ვიყუეო.

### უცხოეთი

**ბერლინი.** ბერლინის ერთს დიდს  
ღარბაში ამ დღეებში შეიკრიბა  
6,000 კაცი. ეს ათურბელი ხალხი  
მიზინდა სოციალ-დემოკრატთა მეთა-  
ურის ლიბკნეხტის სიტყვამ. გაზეთ-  
ში სწერენ: ორატორმა ასე დაიწყო:  
განვლო 120 წელია, რაც ლესინგმა  
საუკეთესო წიგნი დაწერა: „ბრძენი  
ნატანი“. ლესინგი ამტკიცებდა, როც  
კაცი საქმით უნდა იცნა და არა  
იმით, რომელ ნაციას ეკუთვნის,  
ან რა სჯულისა არისო. რას იტყო-  
და ლესინგი ენლა, რომ გავგონა  
ზოგიერთ ჩვენ მოღვაწეთა აზრი, ვი-  
თომ ჩვენი უბედურება სულ ურეების  
ბრალოა. ჩვენი ქვეყანაო, სიტყვა  
ორატორმა, ამაპრატავობს თავის  
კულტურითა და განათლებით, პატ-  
რიოტები ამტკიცებენ, გერმანია ცი-  
ვილიზაციას წინ მიუძღვისო, მაგრამ  
მარშან ებრაელებს ვაბრალებდით  
ქრისტეანების სისხლს სეამენო (საქმე  
ბუმერისა). შემდეგ ლიბკნეხტმა სიტყვა:  
მართალია, ჩვენში ბევრი მოვაჭრე,  
მოვაწმე ებრაელია, მაგრამ განამარ-  
ტო ისინი სწავრავენ ხალხსა? პურ-  
ხედ რომ ბაქია დაწესებული ჩვენს  
ქვეყანაში, განა ეს მოვაწმეობა არ  
არის?

ლიბკნეხტმა თავისი სიტყვა ასე და-  
სრულა: დროა შევიგნოთ, რომ ვა-  
ნათლებულ ქვეყანაში ადგილი არ  
უნდა ჰქონდეს გვარ-ტომობასა და  
ჩამომავლობას და ყველანი ერთნი  
უნდა ვიყვნეთ სახელმწიფოს წინა-  
შე. ხალხმა ალტაცებით მოისმინა  
სიტყვა ლიბკნეხტისა.

მეორე საყურადღებო ამბავი გერ-  
მანიაში ის არის, რომ დიდი ყურა-  
დღება მიიქცეს სახალხო თეატრების  
გამართვას. ამ თეატრებში საუკეთესო  
არტისტები თამაშობენ უსასყიდლოდ  
და ბილეთის ფასები-კი ძლიერ იაფია.  
ამ საქმის შესახებ ბერლინის საეკა-  
ნომიო საზოგადოების უკანასკნელ  
დროს ფრიად საყურადღებო რეფერა-  
ტი წაიკითხა ქ. კელნის მუხის დი-  
რექტორმა. დირექტორმა სხვათა შო-

რის სიტყვა: ამბობენ, ხელოვნება სი-  
მდიდრის შედეგიაო. ეს აზრი დიდ-  
შეცდომად მიიჩნია.

ჩვენ ესლა ისეთ დროში ვსცხოვ-  
რობთ, როცა უბრალო გლეხი-კი,  
რომელსაც სწავლა-განათლება საერო  
სკოლაში მიუღია, უფლებასა თხოუ-  
ლობს კანონმდებლობაში და არჩე-  
ვანებში. ინტელიგენციაც მიხვდა,  
რომ გლეხსაც უნდა მიენიჭოს ყვე-  
ლა ის, რაც-კი ადამიანის ქუა-გო-  
ნებას მოუგონია ადამიანისავე ცხო-  
ვრების განსაკარგებლად. დასასრულ,  
ლექტორმა სიტყვა: ინგლისმა დიდი  
ხანა შეიგნო ეს საკითხობა და ამი-  
ტომ იქ მდაბია ხალხისათვის იმარ-  
თება ხოლმე სხვა-და-სხვა გვარი გა-  
მოფენა, კითხულობენ ლექციებს ხე-  
ლოვნების შესახებ და ჰმართავენ კო-  
ნცერტებსაო.

### გასართობი

ტეფლისის საბარბაშო მკურნავე რე-  
დაქტორებს არც მკურნალება ჩამოურჩ-  
ნენ. არა გვერათ?.. ან სახუთაც.  
რუსეთში არის ქალაქი ოდესა. ქ.  
ოდესაში არის ქალაქის სამკურნალო.  
სამკურნალოში არის ერთი მკურნალო,  
გარდა მისივეაო. ამ სამკურნალოში-  
მე უოთილა ერთი ავადმყოფი, გარდა  
შავლენკოვი. მკურნალო მასკელოვმა ავად-  
მყოფი შავლენკოვი გასინჯა და...

მაგრამ, უკანდავად, მე რად ვერკე-  
სხვის საქმეში? მე რად დამაბრალან,  
ცელა რად დასწამეთ პატრეკემულ მკუ-  
რნადასა? მაშინ რადა ვქნა? არა, დაე  
ასევე თვით მისელოვმა ილაპარაკოს.

ან რა სიტყვა ამ ბრძენთა ბრძენმა და  
ქამათა ქამამა, ბ-ნმა მისელოვმა:

„შავლენკოვი (ავადმყოფი) არ დაწინა-  
რდა და უსწავლად იქცედა. მაშინ და-  
გწმუნდა, რომ საქმე ავადმყოფთა-კი  
არა მარტო, რომელსაც ჰქონდა დახმარება  
მკურნება, არამედ მთავრად კანდაურ გაც-  
თან, რომელსაც ვერაფერს ვერ ჩავგო-  
ნებ. ამიტომ, მოთმინება გამოაქველმა  
უგანსწავლეს საშუალებას მივართო, რა-  
მეღაც, ჰქონდა აზრით, მედამ ამ შემთ-  
სევვაში მღაერ კარგად მაქმელობს (!),  
ქ. ო. მდაბიურად რომ ესთქვათ,  
კარგი სადა გააწინა (გაშა!), ამისთვის  
კი არა, რომ ამ კაცის ცემა მდამოდა,  
არამედ მხოლოდ ამისთვის, რომ ამით  
უნდა ჩამკეოანებინა (?) რაგონად  
მოქცეულიყო“.

ნეტა რას იტყვას ბ-ნი მისელოვი,  
სადმე რომ ამხედ უკეთესი მკურნალო  
და ჩამკეოანებელი აღმოჩნდეს და იმა-  
ვე საშუალებით, რომელიც ბ-ნი მისელო-  
ვისავე სიტყვათ, მეუდამ კარგად  
მოქმედაბს, ქ. ო. ლაზართანს სა-  
ლებით თვით ბ-ნი მისელოვსაც ჩავგო-  
ნოს, რომ მის მიერ აღმოჩენილია ჩა-  
გოანება ვერაფერსა საშუალებას?

### გამოსადები ცნობანი.

უმაღლეს მთავრობის განკარ-  
გულებით, უკანასკნელი ვადა ძველ  
ქალაქის ფულის ხმარებისა დანი-  
შნულია 1 მაისს 1894 წლისა. ამ  
დღის შემდეგ არც ერთს დაწესებუ-  
ლებაში აღარ მიიღება ძველი ფული.  
აი როგორ ფულის ხმარება მოის-  
პობა 1894 წლის პირველს მაისი-  
დან. 1868 წელს 13 თებერვლის გამოაცე-  
მული:

50 მანათიანები, — იმპერატორის  
პეტრე პირველის სურათით.

25 მანათიანები — ხელმწიფის ალექ-  
სი მიხეილის ძის სურათით.

10 მანათიანები — ხელმწიფე მი-  
ხეილ თეოდორეს ძის სურათით.

5 მანათიანები — დიმიტრი დონე-  
ლის სურათით.

3 და 1 მანათიანები, რომლებსაც  
მეორე მხარეს აქვთ აღნიშნული წე-  
ლი გამოცემისა. აგრედვე 1880  
წელს, 21-ს ოქტომბერს, გამოცემუ-  
ლი.

25 მანათიანები — თეთრ ქალა-  
ღზედ, უსურათოდ.

### დებემა

21 აპრილი

**პარლსრუმი.** იმპერატორმა, რო-  
მელიც ბერლინს მიბრძანდებოდა და  
აქ გახდა გამოიარა, ბურგომისტრს უთხ-  
რა, რომ ჯარის გაძლიერება უბრძო-  
ლველად მოხდებოა.

**ათინა.** პრინცი ფერდინანდ კო-  
ბურგელი აქედან გაემართა ტრიე-  
სტს; ცხადია, რომ სტამბოლს აღარ  
წავა.

22 აპრილი

**ლონდონი.** დღეს გილდგოლში,  
ლორდ-მერის თავმჯდომარეობით,  
დიდი მიტინგია, მიმართული ირლან-  
დის ავტონომიის წინააღმდეგ. სი-  
ტის ვაჰარნი და 1,200 წევრი სააქ-  
ციონერო ბირჟისა მიტინგზე ლი-  
ტანიაბით მოვიდნენ.

საზოგადოებათა პალატის კრებაზე  
ბერზმა მოითხოვა, რომ პალატას  
აღრვევ წარედგინოს მიწერ-მოწერა  
პამირის შესახებ, ვიდრე რუსეთთან  
საბოლოოდ გავათავებდეთ საქმესაო.  
გრემი უპასუხა ამხედ, რომ მოლო-  
პარაკების დროს სახეში მიღებულია  
ინტერესები ჩინეთისა და ავღანისტა-  
ნისაო; ხოლო ინგლისსაც დიდი  
ინტერესი აქვს, რომ იმ ქვეყნებში  
სამზღვრების გამოიყენას დასრულდესო;  
ვიდრე მოლაპარაკება არ გათავებუ-  
ლა, მიწერ-მოწერა ვერ წარედგინე-  
ბა პალატასო; მიწერ-მოწერა გაძენ-  
ლებულია მით, რომ საქმეს ზედ და-  
ერთო იმ ქვეყნის საგეოგრაფიო, სა-  
ისტორიო და საეკონომიკური ვითა-  
რებანი, რომელთა შესახებაც მთავ-  
რობა სცდილობს შეაგროვოს და  
წვრილებული ცნობანი დასაარსებ-  
ლად განზრახულ კომისიის შემწეო-  
ბით. რუსეთი გვარწმუნებს, რომ  
პამირის რაზმს გაეგზავნა მიწერილო-  
ბა რათა მისნი წევრნი ოროლნი და  
სამ-სამნი გაემართებოდნენ ხოლმე  
და არავითარი საქმე არ განიხრახონ  
სამოქმედოდ; მიწერილობა აქვს აგრე-  
დვე, არავითარს ექსპედციას არ შე-  
უდგენ, ვიდრე მოლაპარაკება პამი-  
რის თაობაზე; სრული იმედია, რომ  
საქმე შვიდობიანის მოლაპარაკებით  
გათავებდებოა.

**ბერლინი.** რეისტაგში სამხედრო  
კომისიის მომხსენებელი გრებერი ამა-  
რთლებდა გრაფ კაპრივის კამისიის  
მოქმედებას და მაღლობა გადუხადა  
კონსერვატორებს, მთავრობის მხარე  
გეპირათაო. კანცლერის თქმით, დღეს  
საქმე შეეხება გერმანიის სახელს, არ-

\*) დღეს ამ ფერი ქვა ხევის არც-კი სადმე  
მეხულებია.

სტეობისა და მერმისა; მოკავშირე მთავრობანი ყოველ საკონსტიტუციო ღონისძიებით სცდილობენ, თავიანთი სურვილი განახორციელონ; უარყოფა სამხედრო კანონპროექტისა სექცო ყოფაში ჩაგდება საპოლიტიკო მდგომარეობას. თვით გენიოსს დიპლომატობისას, თავად ბისმარკსა, განაგრძო კანცლერმა, რომელსაც ბადალი არა ჰყოლია ამ რამდენსავე საუკუნეში, საჭიროდ მიანდა მხედრობის გაპოლიერება; დაე, გადუწყვეტელი იყოს ის, თუ რამდენად საკმარისია ჩვენი მხედრობა ამ შემთხვევაში, თუნდა მარტო ერთის საფრანგეთის წინააღმდეგ; მაინც ბედი ჩვენი განაპირა ქვეყნებისა, თუ ვინც ცლობა იმ ატყდა, ისეთი საქმე ხომ არ არის, რომელსაც შეგვეძლოს გულგრილად გუყუროთ; ერსა სურს დაიკვას და შეიგრინოს ელზას-ლორენი; იმ დღეს, როცა გამოვა ბრძანება, საომარ ფეხზე დადგეს ჯარია, ერთი პარკი, სასეე პატრონებია, უფრო ძვირფასია, ვიდრე ფულით სასეე ქისა; უარყოფას სამხედრო კანონპროექტისას სამხედრო-გარედ სისუსტედ ჩასთვლიან; იმპერიისა და პრუსიის სახელით ვაცხადებ, რომ გიუნეს წინადადება შესაძლებელია შეწყნარებულ იქნას. გთხოვთ, შეგეწიოთ, რათა შევასრულოთ ის, რაც საჭიროა დასაცველად მშვიდობიანობისა ევროპაში, რაც საჭიროა დასაცველად უშიშროებისა, სახელისა და მერმისისა (კრებაში ისმის ხმა მოსწონებისა).

კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნავთროსისიკით. **ბათუმში მოდის:** ღამის 12 საათზე სწორე გზით ნავთროსისიკსა და სოხუმით. **ოთხშაბათობით:** დღისით სწორე გზით კერხსა და ნავთროსისიკით. **პარასკევობით:** საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურში შეივლის. **ფოთში მოდის:** საფოსტო და სახალხო ბათუმდგან კვირ, დღისით, განთიადისას. **პარასკევობით:** საფოსტო და სახალხო ოდესიდან დღისით. **სამშაბათობით:** დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდან. **ხუთშაბათობით:** სახალხო და საქონლისა ბათუმდგან, დღისით. **ფოთადგან გადის:** **პარასკევობით:** ნაშუადღევს ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დღის 5 საათზე. **ხუთშაბათობით:** საფოსტო და სახალხო საქმის ვათავების შემდეგ ბათუმში. **სახალხო და საქონლისა ბათუმში,** სამშაბათობით, დღის 10 საათზე. **სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით,** ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის. **საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც**

### განცხადებანი

ცოტა-და დარჩა და ისეილება წერა-კითხვ. გამავრ. საზოგ. და ამხანაგობის მალაზიაში საქართველოს კალენდარი 1893 წლისათვის ფასი 45 კ. (ყლით 55 კ.) კალენდარი შეიცავს 560-მდე წმინდათა დასტამბულ გვერდს და დასურათებულია გრიკელის ნახატებით. უბას წაენა 1893 წლისათვის „სულ გაიყიდა“ ქართული მიწა-წყაროების კრებული ფასი 40 კ. (ყლით 50 კ.) ისეილება იმავე წიგნის მალაზიაში.

### გბილის ექიმი ა. ი. მრბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №14-16 ავადმყოფებს მიიღებს: დღისით 8-დან 12 საათამდე. საღამოთი 4-დან 6 საათამდე. **კვირა-შაბამ დღეებში** დღისით 8 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (150-46)

### ახალ-სენაკში

კ. თავართქილაძის ახალ სტამბაში დაიბეჭდა და დაურთდა ყველა წიგნის მალაზიებს, სადაც-კი ქართული წიგნები ისეილება, შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები: 1) „ჩანგი“, პირველ გამოცემიდან გადმობეჭდილი და მრავალი ახალი ლექსების და სტენების დამატებით, მშვენიერი ყლით, ფასი 1 მ. 2) „გამიჯნურებულ ქალ-ვაჟის მიწერ მოწერა“, ვინმე მესხისა, 5 კ. 3) „არსენას ლექსი“ სურათით 5 კ. 4) „ვეფხისტყაოსანი“, მეორედ გამოცემული ქ. ოზურგეთში, გასწორებული, მოკლე ბიოგრაფიით და სურათით, 40 კაპ.

5) „რამდენიმე მოთხრობა“, ნინო-შვილისა, 50 კ. 6) „სიმონა“ მისივე 30 კაპ. 7) „ზანგის სამკვიდრო“, თარგმანი დათქო ვერმიცანაშვილისა, 10 კ. და სხვა-და-სხვა წიგნები.

### წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მალაზია

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა	40
ბუნების კარი ყლით ი. გოგებაშვილისა	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	50
ვისრამიანი	1 50
თხზულ. რ. ერისთავისა II კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სხმარებელი, ი. გოგებაშვილისა	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	30
იგივე მშვენიერის ყლით	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	20
პატარა მოამბე II ალ. მირონიანიშვილისა	10
რობინზონ ვრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	15
ქილილა და დამანა	3
შაღვის თავგადასავალი ცახელისა	15
ცვარი შ. მღვიმელისა	30
წითელი ფარანი, თარგ. ან. დრონიკაშვილისა	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშვილისა	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა	10
კონა ი. გოგებაშვილისა	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა	40
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი	40
თხზულბანი ალ. ყაზბეგისა (მოჩსუბარძისა) ავტორის სურათით და ფქსიმილით I, II, III და IV ტომი თითო ტომი	1 40
სამხარეულო ქართულისა და ევროპიულის საქმელებისა	1 20
თხზულბანი ი. დავითაშვილისა	80
სურამის ცხე, მოთხრობა ქონქაძისა	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა	15
ცდა I, და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე	50
სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა ნაქვეთი მოთხრობანი დ. ერისთავისა	50
თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა კიკელას ნაამბობი, პოემა მისივე	1 20
პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე	50
საყმაწვილო ამბები მისივე	40
ძმური სიტყვა, დ. მაჩანაძისა, მეორე გამოცემა	25

## მ მ ქ ბ რ ხ ნ მ მ ე ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

### ბანდერ-სტავანოვი

სოლოლაკი. ქ. სახ. აღბაბოვისა. ისეილება ყოველ-გვარი ახალ-გოდის ნაწარმოები საზოგადოებისა, საკუთარ მარხანაში დაგზავნული:

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინები.	მზა-მზარეული სარფინის ტანი-სამოსი.
ჩესურა ტანთსაცმელისათვის.	პერანგები კაცისა:
სარფინის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.	„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.
ცხვირსახოცები და თავმოსხვევები.	საცვლები მანდილოსნებისათვის:
ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.	პერანგები, კოფრები და კალსონები.
სარფინის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულკების საქსოვად.	ჩულკები და წინდები სარფინის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35-24)

ტფილ. გამოფენა.

### ატლო თუთაგვის

ზეთიანის კრასკების ქარხნის იანმუკაზედ

ბზილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонт) და შეღებვას (полная окраска домов). ცვილი ფარისკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამთ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონლის მიღების დროს (наложным платежом). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინილისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ. (48-9)

აღ. თუთაგვი

### რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000.000 მან.)

ისეილება 5%-იანი მოგზაბიანი ბილეთები I, II, და III სესხისა თთვეში ზუთ-ხუთ მანათის ვარდახდით. მსურველთ შეუძლიან მეტ-მეტეც იხადონ თთვე-და-თთვე.

ზეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ 15 მანათისა. კუბონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა 65 კაპ.

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარეუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდან 2 საათამდე. (50-15) აკრტი დ. ქ. თუთაგვი.

### ანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოვის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყოა 25 სექტემბრიდან. (50-50)

სექტემბრის ბირჟა, 20 აპრილი.

	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
რუს-მანათიანი ოქრო	7,987	7,970	—
სტავროპოლის კუპონები	153	154	—
მანათიანი გერმანიის ვაჭრობა	—	1,000	—
პირველის შინა-განის სესხის მომგები	—	—	244
მთლიანი	—	—	221
მთლიანისა	—	—	—
მესამე სესხისა	—	99,00	—
საქონლიანი მოგზაბიანი ბანკის მომგები	—	—	195 1/2
ფორცელი	—	—	—
საქონლიანი ფორცელი	—	—	—
ტფილისის ბანკისა:			
6% . . . . .	—	102	—
5% . . . . .	—	100 1/4	—
ქუთაისის ბანკისა 6% . . . . .	—	102	—
5% . . . . .	—	100 1/4	—
6% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრებულო საზოგადოებისა	—	99 3/4	—

**გამოსავალი ცნობანი**

ბიძგვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის ნიშნავლა**

ტფილისიდან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმდგან ტფილისს მიდის . . . 9 ს 53 წ. საღ.

„ . . . . . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუად.

ბაქოდგან ტფილისს მიდის . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა. ტფილისიდან განჯას მიდის . . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდან ტფილისს მიდის . . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმდგან გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნავთროსისიკში